დოკუმენტი დამტკიცებულია
უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 16
მარტის 2021 ბრძანებით

შპს ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის/სამეცნიერო პერსონალის კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესი

2021 წელი

შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები ..... **Error! Bookmark not defined.**

მუხლი 2. კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა 3

მუხლი 3. ინსტიტუტის სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის დაფინანსება და ანგარიშგება 3

მუხლი 4. სამეცნიერო პერსონალის მიერ სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება და ანაზღაურების წესი 4

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი”) სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის/სამეცნიერო პერსონალის კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესი (შემდგომში - „წესი“) განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ფარგლებში სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის განხორციელების და დაფინანსების წესსა და პირობებს.

2. დოკუმენტის მიზანია სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის/სამეცნიერო პერსონალის კვლევითი საქმიანობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, გამჭვირვალე, სამართლიანი და მიუკერძოებელი პროცედურების დანერგვა.

მუხლი 2. კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა

1. უნივერსიტეტის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტი (შემდგომში - „ინსტიტუტი“) ვალდებულია უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიის გათვალისწინებით განსაზღვროს კვლევითი პრიორიტეტები, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ მიწოდებული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შეფასებისა და საზოგადოებაში მოთხოვნადი კვლევითი მიმართულებების მოკვლევის შესახებ ანგარიშების საფუძველზე.

2. ინსტიტუტის ხელმძღვანელი ვალდებულია სამეცნიერო პერსონალთან თანამშრომლობით შეიმუშაოს კვლევითი პრიორიტეტები და განხილვის მიზნით წარუდგინოს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში გასცეს რეკომენდაციები ინსტიტუტის მიერ განსაზღვრულ კვლევით პრიორიტეტებში ცვლილების შეტანის შესახებ.

3. ინსტიტუტის მიერ წარდგენილი კვლევითი პრიორიტეტების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო.

4. კვლევითი პრიორიტეტის აქტუალობის/მნიშვნელობის დაკარგვის ან სხვა მიზეზის საფუძველზე ცვლილების საჭიროების შემთხვევაში ცვლილება შედის იგივე პროცედურების დაცვით.

მუხლი 3. ინსტიტუტის სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობის დაფინანსება და ანგარიშგება

1. ინსტიტუტის მიერ განსაზღვრული კვლევითი ღონისძიებების/აქტივობების განხორციელების და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნებისთვის, ინსტიტუტის ხელმძღვანელი წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს განაცხადს. განაცხადს თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტები:

ა) კვლევითი ღონისძიებების/აქტივობების მოკლე აღწერა (მიზანი, მეთოდი, მოსალოდნელი შედეგი, აქტივობის განხორციელების ხანგრძლივობა);

ბ) კვლევითი ღონისძიებების/აქტივობების განმახორციელებელი მეცნიერ-თანამშრომლების ან/და სხვა ჩართული პერსონალის შესახებ ინფორმაცია;

გ) კვლევითი ღონისძიებების/აქტივობების დასაფინანსებლად მოთხოვნილი თანხის ოდენობა;

დ) კვლევითი ღონისძიებების/აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი (საჭიროების შემთხვევაში).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის დაცვით წარდგენილ განაცხადს განიხილავს ფაკულტეტის საბჭო და იღებს ერთ - ერთ გადაწყვეტილებას:

ა) კვლევითი ღონისძიებების/აქტივობების დაფინანსების შესახებ;

ბ) კვლევითი ღონისძიებების/აქტივობების დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ;

გ) კვლევითი ღონისძიებებში/აქტივობებში ცვლილების შეტანის და განსაზღვრულ ვადაში თავიდან წარდგენის შესახებ.

3. კვლევითი ღონისძიებების/აქტივობების განხორციელების მიმდინარეობის ან შესრულების შესახებ, ინსტიტუტის ხელმძღვანელი ვალდებულია ყოველკვარტლურად ანგარიში წარუდგინოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.

4. ინსტიტუტების მიერ განხორციელებული კვლევითი საქმინობის/ღონისძიებების შესრულების შემდეგ, ინსტიტუტის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის პერსონალისთვის, სტუდენტებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის კვლევითი საქმიანობის შედეგების გაზიარებას შეხვედრების/დისკუსიების და ა.შ. მეშვეობით.

მუხლი 4. სამეცნიერო პერსონალის მიერ სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება და ანაზღაურების წესი

1. უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალი არის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი, რომელიც შერჩეულია უნივერსიტეტის „პერსონალის შერჩევის წესის“ შესაბამისად.

2. იმფაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში სამეცნიერო სტატიის გამოცემის ანაზღაურების მიზნით სამეცნიერო პერსონალი უფლებამოსილია მიმართოს ინსტიტუტის ხელმძღვანელს. ინსტიტუტის ხელმძღვანელი ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს განაცხადს. განაცხადს უნდა დაერთოს შესაბამისი სამეცნიერო ჟურნალის სტატიის გამოქვეყნების თანხმობის წერილი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით წარდგენილ განაცხადს განიხილავს ფაკულტეტის საბჭო და იღებს გადაწყვეტილებას სამეცნიერო სტატიის დაფინანსების ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ.

4. ფაკულტეტის საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სამეცნიერო პერსონალი უფლებამოსილია განახორციელოს სტატიის გამოსაქვეყნებლად საჭირო ღონისძიებები.

5. ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება გამოქვეყნებული სტატიების ჟურნალის იმფაქტ-ფაქტორის შესაბამისად (იხ. დანართი № 1).

6. ინსტიტუტის ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს გამოქვეყნებული სტატიის გაზიარება უნივერსიტეტის პერსონალისთვის, სტუდენტებისთვის ან სხვა დაინტერესებული პირებისთვის სამუშაო შეხვედრების, დებატების, კონფერენციების, ელექტრონული საშუალებების მეშვეობით.

SCOPUS

https://www.scopus.com/sources.uri

დანართი 1

ფაკულტეტი	საგანმანათლებლო პროგრამა	კატეგორია სკოპუსში	Open Access Journals Only (CiteScores 2016-2019)					
Business and Technology	Business Administration, Tourism Administration, Finances and Banking , Management	Business, Management and Accounting	0,1 - 0,5 (50 journals) 1000	0,6 - 1 (36 journals) 1500	1,1 - 1,5 (23 journals) 2000	1,6 - 2,0 (30 journals) 2500	2,1 - 3 (22 journals) 3000	3,1 - 7 (20 journals) 3500
	Informatics	Mathematics	0,1 - 0,4 (37 journals) 1000	0,5-0,7 (52 journals) 1500	0,8 - 1 (40 journals) 2000	1,1 -1,5 (55 journals) 2500	1,6 - 3 (65 journals) 3000	3,1 -18 ,2 (54 journals) 3500
Law, Humanities and Social Sciences	Law	Law	0,1-0,2 (22 journals) 1000	0,3-0,4 (22 journals) 1500	0,5 -0,9 (13 journals) 2000	1-1,4 (10 journals) 2500	1,5 - 3 (8 journals) 3000	3,1-6,7 (5 journals) 3500
	Psychology	Psychology	0,1-0,3 (33 journals) 1000	0,4 - 0,6 (25 journals) 1500	0,7 - 1 (33 journals) 2000	1,1 - 2 (40 journals) 2500	2,1- 3 (20 journals) 3000	3,1 -7 (20 journals) 3500
	International Relations	History, Cultural Studies, Political Science and International Relations	0,1-0,2 (150 journals)	0,3 - 0,5 (80 journals)	0,6 - 0,8 (32 journals)	0,9 - 1,4 (34 journals)	1,5 -3 (18 journals)	3,1 - 5,6 (6 journals)

			1000	1500	2000	2500	3000	3500
	English Philology	Arts and Humanities (miscellaneous), Language and Linguistics, Literature and Literary Theory	0,1 - 0,2 (130 journals) 1000	0,3-0,4 (50 journals) 1500	0,5 -0,7 (30 journals) 2000	0,8 - 2,0 (30 journals) 2500	2,1 -5,6 (10 journals) 3000	3500
	Teacher Training	Education	0,1-0,3 (50 journals) 1000	0,4 -0,6 (60 journals) 1500	0,7 - 1,0 (45 journals) 2000	1,1 - 1,5 (40 journals) 2500	1,6 - 2,5 (40 journals) 3000	2,6 -8,4 (30 journals) 3500
Medicine	Dentistry	Dentistry	0,1 - 0,4 (15 journals) 1000	0,5 - 1 (16 journals) 1500	1,1- 1,5 (9 journals) 2000	1,6-2,5 (10 journals) 2500	2,6-4,9 (15 journals) 3000	3500
	Medical Doctor (MD)	Medicine	0,1-0,3 (170 journals) 1500	0,4 - 0,7 (185 journals) 2000	0,8 - 1 (105 journals) 2500	1,1 - 1,5 (160 journals) 3000	1,6 - 3 (300 journals) 3500	4 < (600 journals) 4000
Veterinary	Veterinary Medicine	Veterinary	0,1 -0,2 1000	0,3-0,6 1500	0,7-1 2000	1,1-2 2500	2,1-3 3000	3< 3500